ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №07
2025 წლის 22 ივლისი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (სსმ 31.03.2022 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.131.016328) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №07 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დანართით დამტკიცებული XVIII თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XVIII. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

მუხლი 147. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქმნება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მჭედლიშვილი**